ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# გადაწყვეტილება №4298292

ნომერი: AR1635939

თარიღი : 08.10.2018

გაცემის თარიღი : 10.12.2018

გაცნობის თარიღი : 10.12.2018

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 10;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნინო სულთანიშვილი პ/ნ 01006012475
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 18 ბ. 1

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100, 102-ე მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

## გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგი:

თქვენს მიერ განცხადებაზე წარმოდგენილია შპს „ბი-ქეი გრუპის“ თანხმობა სარეკლამო აბრის განთავსებასთან

დაკავშირებით კომერციულ ფართზე #1ა, სართული პირველი ფართი:71.95 კვ.მ. მიმდინარე განცხადებით სარეკლამო აბრის განთავსება გსურთ ს/კ:01.18.05.001.042.01.02.001გ-ზე, რომლის მესაკუთრეებიც არიან ნინო სულთანიშვილი და მარიკა სიფრაშვილი ფართი კი არის 71.00 კვ.მ. შესაბამისად თქვენს მიერ შპს „ბი-ქეი გრუპის“ თანხმობა წარმოდგენილია სხვა საკადასტრო კოდზე აბრის განთავსებასთან დაკავშირებით საჭიროა წარმოდგენილ იქნეს თანხმობა მიმდინარე განცხადებით შესათანხმებელ სამუშაოებზე ან დარეგისტრირდნენ შპს ბი-ქეი გრუპის უფლებამოსილი პირი თანაგანმცხადებლად.

სამსახურის №4294170 გადაწყვეტილებით დაგევალათ წარმოგედგინათ განახლებული დოკუმენტაცია, ამავე გადაწყვეტილებით გეცნობათ, რომ სათანადო და სრულყოფილი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, განაცხადი დარჩებოდა განუხილველი. ვინაიდან ზემოაღნიშნული ხარვეზი არ არის გათვალისწინებული, №4294170 გადაწყვეტილების შესაბამისად, წინამდებარე განცხადება ამ ეტაპზე დარჩება განუხილველი.

---

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.